

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

11 ოქტომბერი 2018 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიძე, ტარიელ ბარამიძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, (დანართი №1). სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-**ივანე მამფორია**;

სხდომა 13³⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2018 წლის 11 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის

დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ მე-II ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედნისა და ტრიბუნისათვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ.“

/მომხს. გელა ჩიკვაძე/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, 2018 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით “

/ მომხს. ივანე მამფორია/

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2018 წლის 11 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -6

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოლომონ მე-II ქუჩა N59-ში მდებარე რაგბის მოედნისა და ტრიბუნისათვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ.“ (დანართი N2)

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიღებულია წერილი, რომ სრულად გვაქვს წარმოდგენილი „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესით“ განსაზღვრული დოკუმენტაცია და გვამლევენ თანხმობას ქ. ვანში რაგბის მოედნისთვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭებაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -6

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 11 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ ცნობის სახით წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, 2018 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით“ (დანართი N3)

მომხსენებელმა მოკლე მიმოხილვა გააკეთა ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 11 ოქტომბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე